# შემოსავლების სამსახური

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა: N 066-162

12.11.2014 წელი თბილისი

## ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ

საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების გატარების მიზნით, საქართველოს საგადახადო კოდექსის 241-ე მუხლის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ყადაღა დაედოს "მიხეილი მირგატია"-ს (ს/ნ 39001001156; იურიდიული მის: სენაკის რაიონში / რუსთაველის 252) ქონებას (მატერიალურ ან/და არამატერიალურ აქტივებს);

2. "მიხეილი მირგატია"-ს ქონების დაყადაღება (აღწერა) დაევალოს ადმინისტრირების დეპარტამენტის გადახდევინების ღონისძიებების სამმართველოს მთავარ ოფიცერს ვაჟა ჯინჭარაძეს და ოფიცერს ქარცხია გიორგის

3.გადასახადის გადამხდელს ან სხვა ვალდებულ პირს არა აქვს ქონების გადაცემის, გაყიდვის, გაქირავების, იჯარით გადაცემის ან სხვა სახით განკარგვის უფლება საგადასახადო ორგანოს წერილობითი თანხმობის გარეშე, ისიც მხოლოდ იმ პირობით, რომ უზრუნველყოფილი იყოს ამის შედეგად ამონაგები თანხის შეტანა საგადასახადო დავალიანების დასაფარავად;

4.გადასახადის გადამხდელისთვის ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ ბრძანების კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობისთანავე, ბათილია ამ ბრძანების მე-3 პუნქტში აღნიშნული ყველა გარიგება;

5.გადასახადის გადამხდელი ან/და მის წარმომადგენელი ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ჩაბარების შემდეგ ვალდებულია 5 დღის ვადაში სრულად წარმოადგინოს მის საკუთრებაში არსებული ან/და ბალანსზე რიცხული ქონების ნუსხა (ქონების დასახელებისა და ადგილმდებარეობის ზუსტი მისამართის ჩვენებით), რომელშიც უნდა მიუთითოს ის ქონებაც, რომელიც მას სხვებისაგან ეკუთვნის;

6.ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, როგორც საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში (შემოსავლების სამსახური - ქ. თბილისი, გორგასლის ქ. # 16, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - გორგასლის ქ. # 16), ასევე სასამართლოში, საქართველოს საგადასახადო კოდექსის XIV კარით დადგენილი წესით;

ადმინისტრირების დეპარტამენტის
უფროსის მოადგილე

ჯაბა გაბუნია

066-162